

არქიტექტორ - ტექნიკოსი (გრაფიკოსი) 110151
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

არქიტექტურა ახდენს ქალაქებისა და სხვა ტიპის დასახლებათა მატერიალური გარემოს ფორმირებას დაპროექტებისა და მშენებლობის რთული პროცესების გავლით. არქიტექტორ-ტექნიკოსის საქმიანობა წარმოადგენს არქიტექტურულ სფეროში მომსახურებათა მნიშვნელოვან ქვესისტემას. არქიტექტორ-ტექნიკოსის საქმე არქიტექტურულ-სამშენებლო სამსახურზეა ორიენტირებული და მოიცავს შემდეგი სახის უნარებსა და ცოდნას: არქიტექტურული პროექტის ტექნიკური შესრულების უნარი; ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილებების გრაფიკულად შესრულებისათვის სივრცული ფოტოგრაფირების უნარი, პროექტის დამუშავებისას მაკეტირების დახმარებით სამგანზომილებიანი, სივრცითი ობიექტის შესრულების უნარი; არქიტექტორ ტექნიკოსს სჭირდება: თანამედროვე, სპეციალიზირებული კომპიუტერული პროგრამების ცოდნა; სამშენებლო და

სარესტავრაციო ობიექტებზე სპეციალური სამუშაოების შესრულება, ინფორმაციის შეგროვება; შესაძლო პრობლემების განჭვრეტის უნარი; შენობა-ნაგებობათა ცალკეული ელემენტების აზომვა, ნახაზებზე დაზიანებათა დატანა, დაზიანებათა ფოტოფიქსაცია, ნახაზების მიხედვით ადგილზე დაკვალვა; სამშენებლო კანონმდებლობის მარტივ საკითხებში გარკვევა.

II. დასაქმების სფერო

არქიტექტურული საპროექტოები, საქალაქო სამსახურები;
 არქიტექტურულ-სამშენებლო ორგანიზაციები;
 დიზაინერული პროფილის ოფისები;
 სამშენებლო ორგანიზაციები.

III. დამატებითი მოთხოვნები

მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

არქიტექტორ-ტექნიკოსის (გრაფიკოსი) პროფესიული განათლება არის ხუთსაფეხურიანი და თითოეულ საფეხურზე შემუშავდება შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

არქიტექტორ-ტექნიკოსის (გრაფიკოსი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 90 კრედიტს, რომლის მინიმუმ 60% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება არქიტექტორ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

არქიტექტორ-ტექნიკოსის (გრაფიკოსი) მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 60% სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება არქიტექტორ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

არქიტექტორ-ტექნიკოსის (გრაფიკოსი) მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 60% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება არქიტექტორ-ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. არქიტექტორ-ტექნიკოსის (გრაფიკოსი) პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

არქიტექტორ-ტექნიკოსის (გრაფიკოსი) მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა. აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>აქვს არქიტექტურული ფოტოგრაფირების საქმის, გრაფიკული რედაქტორის (Photoshop) და არქიტექტურულ-კომპოზიციური ხედვის სფეროში ზოგადი ცოდნა, ორიენტირებული პრაქტიკულ საქმიანობაზე. ფლობს საინჟინრო და არქიტექტურული გრაფიკის საფუძვლებს.</p> <p>იცის კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობით, 2D-ორგანზომილებიანი და 3D-სამგანზომილებიანი არქიტექტურულ სამშენებლო გრაფიკული ნახაზების აგება და რედაქტირება. აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლიანი ცოდნა.</p> <p>აქვს არქიტექტურული მოდელირების (მაკეტირება) სპეციალისტისთვის ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა, იცნობს სამაკეტე მასალებს.</p> <p>იცის ტოპოგრაფიული რუკების წაკითხვა და გამოყენება. გაცნობიერებული აქვს არქიტექტურული დეტალების, ორნამენტების დანიშნულება;</p> <p>პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობები (საზღვრები); ორიენტირებულია საპროექტო და სამშენებლო პრაქტიკულ საქმიანობაზე. აქვს ძირითადი ხელსაწყოებისა და მოწყობილობების მუშაობის/ექსპლუატაციის ზოგადი პრინციპების ცოდნა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>საპროექტო ტერიტორიის ან სარეკონსტრუქციო შენობის არქიტექტურულ-სივრცული ფოტოგრაფირება და პროექტირებასთან დაკავშირებული ფოტო და ვიდეო მასალების მომზადება; შეუძლია ესკიზის და სათანადო ნახაზების წაკითხვა და მაკეტის შესრულება; შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით დასაპროექტებელი შენობის ფოტორეალისტური ვიზუალიზაციის შექმნა და მასალების დამუშავება.</p> <p>საპროექტო ან სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო შენობიდან არქიტექტურული ორნამენტის აზომვა: ესკიზიდან სათანადო ნახაზების შესრულება, ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით. ფლობს არქიტექტურული დეტალების შექმნის, დამზადების, ჩამოსხმის, მონტაჟის და რესტავრაციის ზოგად ცოდნას. შეუძლია პროფესიულ სამუშაოსთან დაკავშირებით ვიწრო პროფესიული კომპეტენციის საზღვრებში ინდივიდუალური მეწარმეობა. გუნდური მუშაობა;</p>

		დამოუკიდებლად მუშაობა და პასუხისმგებლობა ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოზე.
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	შეუძლია პრობლემების გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გამოტანა; ლოგიკური აზროვნება; პრობლემის/ამოცანის გაცნობიერება, ჩამოყალიბება, პროფესიულ კონტექსტში მისი გადაჭრის საშუალების გააზრება; კონკრეტული ტექნიკური პრობლემის ანალიზი; პროფესიული ლიტერატურიდან მშობლიურ ენაზე შესაბამისი ტექნიკური ინფორმაციის მოძიება და ინტერპრეტირება;
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.	აქვს უნარი აწარმოოს ეფექტური კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე (წერილობითი, ვერბალური და ნახაზების საშუალებით); შეუძლია უცხო ენაზე სპეციალობასთან/პროფესიასთან დაკავშირებული მარტივი ტექსტების, განმარტებების გაგება, ცოდნის გადმოცემა საკუთარი სიტყვებით (ზეპირი და წერილობითი), ფაქტების შეფასება, მსჯელობა პროფესიულ საკითხებზე მარტივი სამეტყველო ენობრივი მასალის გამოყენებით. შეძენილი ცოდნის გაღრმავება, სისტემატიზაცია და ლექსიკური მარაგისა და ზეპირსიტყვიერების წესების პრაქტიკაში გამოყენება. უცხო ენაზე არსებული წყაროებიდან შესაბამისი ინფორმაციის მოძიება და ინტერპრეტირება.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	აქვს უნარი მიღებული ცოდნით სწავლა განაგრძოს შემდგომი დონის საგანმანათლებლო პროგრამაზე და შეუძლია განათლების მიმართულების განსაზღვრა;
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებები: პატივს სცემს კულტურულ მრავალფეროვნებას. აცნობიერებს პროფესიული პასუხისმგებლობის, ეთიკურ, უსაფრთხოებისა და ჰიგიენურ ნორმებს.

არქიტექტორ-ტექნიკოსის (გრაფიკოსი) მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>იცნობს არქიტექტურული დაგეგმარების, საპროექტო, სამშენებლო საქმის, არქიტექტურული ფოტოგრაფირების, მაკეტირების, არქიტექტურული დეტალების მერწვა-მოდელირების ზოგად საფუძვლებს, ორიენტირებულს საპროექტო პრაქტიკულ საქმიანობაზე; იცის არქიტექტურული დაგეგმარებისთვის საჭირო კომპიუტერული პროგრამები და არქიტექტურული საპროექტო ნახაზის ტექნიკური შესრულება; გაცნობიერებული აქვს მშენებლობის მენეჯმენტის საფუძვლები; აქვს შრომის უსაფრთხოებასთან და არქიტექტურულ საპროექტო საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხის ზოგადი ცოდნა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები. შიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია შემდეგი სამუშაოების პრაქტიკულად შესრულება: საპროექტო ტერიტორიის ან სარეკონსტრუქციო შენობის არქიტექტურული აზომვა: ესკიზიდან სათანადო ნახაზების შესრულება, ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით; ქალაქგეგმარებითი პროექტის წაკითხვა, წინასაპროექტო კვლევის ჩატარება, მასალის კომპიუტერული დამუშავება, სივრცული ფოტოგრაფირება, მაკეტირება; გუნდური მუშაობა; დამოუკიდებელი მუშაობა და პასუხისმგებლობა ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოზე. მცირე ინდივიდუალური მეწარმეობა.</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია მეთოდების გამოყენებით; ლოგიკური აზროვნება; სათანადო მონაცემების ანალიზი სტანდარტული პრობლემის/ამოცანის გაცნობიერება, ჩამოყალიბება, პროფესიულ კონტექსტში მისი გადაჭრის საშუალების გააზრება; კონკრეტული ტექნიკური პრობლემის ანალიზი; პროფესიული ლიტერატურიდან და სხვა წყაროებიდან შესაბამისი ტექნიკური ინფორმაციის მოძიება და ინტერპრეტირება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად</p>	<p>აქვს უნარი აწარმოოს ეფექტური კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე (წერილობითი, ვერბალური და ნახაზების საშუალებით); შეუძლია უცხო ენაზე სპეციალობასთან/პროფესიასთან</p>

	სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	დაკავშირებული მარტივი ტექსტების, განმარტებების გაგება, კოლეგებთან ურთიერთობა, პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა; ფლობს დროის ეფექტურად მართვის უნარს; შეუძლიათ კომუნიკაცია თავიანთ ცოდნასთან, უნარებთან და საქმიანობასთან დაკავშირებით კოლეგებთან, ხელმძღვანელებთან და მომხმარებლებთან თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა, განჭვრეტად თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.	მიღებული ცოდნა საშუალებას მაღალი დონის საგანმანათლებლო პროგრამები. აძლევს ათვისოს უფრო დამოუკიდებლად გაიფართოს ცოდნა არქიტექტურული დაგეგმარების საკითხებში. გამოიყენოს არქიტექტურული ინფორმატიკისა და კომპიუტერული დაგეგმარების საშუალებები უახლესი არქიტექტურული პროექტების ტექნიკური შესრულებისთვის.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიულ საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებები: შეუძლია სათანადო არქიტექტურული ნახაზების შესრულება, ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით, შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით. იცნობს უსაფრთხოების წესებს,; მეწარმეობის საფუძვლებს; აქვს პასუხისმგებლობა როგორც პირადად, შესასრულებელი სამუშაოებისადმი ასევე ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოზე.

არქიტექტორ-ტექნიკოსის (გრაფიკოსი) მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს)	იცნობს საპროექტო და სამშენებლო საქმის ზოგად საფუძვლებს, ორიენტირებულს საპროექტო პრაქტიკულ საქმიანობაზე; იცის შენობის ნაწილები და არქიტექტურული საპროექტო მოცემულობის ტექნიკური შესრულება; გაცნობიერებული აქვს მშენებლობის მენეჯმენტის საფუძვლები; შრომის უსაფრთხოებასთან და არქიტექტურულ საპროექტო საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ზოგადი საკითხები; გაცნობიერებული აქვს მეწარმეობის საფუძვლები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების	შეუძლია: საპროექტო ტერიტორიის ან ან სარეკონსტრუქციო შენობის არქიტექტურული აზომვა; ესკიზიდან სათანადო ნახაზების შესრულება ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით და შესაბამისი

	შემოქმედებითად გადასაწყვეტად	კომპიუტერული პროგრამების საშუალებით;მ ქალაქგეგმარებითი პროექტის წაკითხვა, წინასაპროექტო კვლევის ჩატარება, მასალის კომპიუტერული დამუშავება, სივრცული ფოტოგრაფირება, მაკეტირება, გუნდური მუშაობა; დამოუკიდებელი მუშაობა პასუხისმგებლობის აღება ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოზე. მცირე ინდივიდუალური მეწარმეობა.
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება	შეუძლია სათანადო მონაცემების ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით; ლოგიკური აზროვნება; პრობლემის/ამოცანის გაცნობიერება, ჩამოყალიბება, პროფესიულ კონტექსტში მისი გადაჭრის საშუალების გააზრება; კონკრეტული ტექნიკური პრობლემის ანალიზი; პროფესიული ლიტერატურიდან და სხვა წყაროებიდან შესაბამისი ტექნიკური ინფორმაციის მოძიება და ინტერპრეტირება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტების და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	აქვს უნარი აწარმოოს ეფექტური კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე (წერილობითი, ვერბალური და ნახაზების საშუალებით); შეუძლია უცხოურ ენაზე სპეციალობასთან დაკავშირებული მარტივი ტექსტების, განმარტებების გაგება, კოლეგებთან ურთიერთობა, პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა; ფლობს დროის ეფექტურად მართვის უნარს; იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისინებელ ვითარებაში.	მიღებული ცოდნა საშუალებას მაღალი დონის საგანმანათლებლო პროგრამები. აძლევს აითვისოს უფრო დამოუკიდებლად გაიფართოს ცოდნა არქიტექტურული დაგეგმარების საკითხებში. გამოიყენოს არქიტექტურული ინფორმატიკისა და კომპიუტერული დაგეგმარების საშუალებები უახლესი არქიტექტურული პროექტების ტექნიკური შესრულებისთვის.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს	აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები და უზიარებს სხვებს. იცნობს და იცავს უსაფრთხოების წესებს აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორც პირად შესასრულებელი სამუშაოებისადმი ასევე ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოზე.

